ინფორმაცია

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ საქართველოს მთავრობის მოხსენებასა და „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2025-2028 წლებისათვის“ დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტებზე საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის რეკომენდაციების გათვალისწინების შესაძლებლობის შესახებ

№	**რეკომენდაცია**	**რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა**
1	ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ფისკალური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ევროპის მაასტრიხტის ხელშეკრულებითა და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი **მაკროეკონომიკური პარამეტრებისა და ფისკალური მაჩვენებლების, მათ შორის, ბიუჯეტის დეფიციტისა და მთავრობის ვალის მშპ-ს მიმართ პროცენტული თანაფარდობების დაცვა**	გათვალისწინებულია წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი დაგეგმილია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ზღვრების ფარგლებში.
2	საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე თანდართულ მაკროეკონომიკურ პროგნოზებთან ერთად წარმოდგენილია ეკონომიკური ზრდის 2024 წლის მოსალოდნელი პარამეტრები, რომელშიც გათვალისწინებულია წლის განმავლობაში დაფიქსირებული ეკონომიკური აქტივობა. კომიტეტი დადებითად აფასებს მიმდინარე წლის მოსალოდნელ მაკროეკონომიკურ პარამეტრებს. კერძოდ, რეალური ეკონომიკური ზრდის მოსალოდნელი მაჩვენებელი 8.2%-ის დონეზეა, თუმცა 8 თვის მდგომარეობით ეკონომიკური ზრდა ფიქსირდება 10%-ი, ანუ თითქმის 2 პროცენტული პუნქტით მეტი. ეს ნიშნავს, რომ 2025 წლის ეკონომიკური ზრდის ბაზა იქნება მეტი, ანუ **შესაძლებელი იქნება ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილ საპროგნოზო მაჩვენებლებთან შედარებით ბიუჯეტში**	დამატებით გაანალიზდება ეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების დინამიკა და გათვალისწინებული იქნება ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში.

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	შემოსავლების, მათ შორის, საგადასახადო შემოსავლების სახით დამატებითი ფულადი სახსრების აკუმულირება	
3	საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2025 წლიდან უნდა ამოქმედდეს ისეთი კანონების ცალკეული მუხლები, როგორიცაა: „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, ასევე საქართველოს კანონი „თავდაცვის კოდექსი“, საქართველოს კანონი „საქართველოს ტყის კოდექსი“ და ა.შ.. მიზანშეწონილია, აღნიშნული **კანონების შეუფერხებელი აღსრულებისათვის საჭირო თანხების ოდენობის დაზუსტების მიზნით, გაგრძელდეს მუშაობა შესაბამის უწყებებთან**	განხილული იქნება შესაბამის უწყებებთან და არსებული რესურსის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში.
4	მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბიუჯეტების პროექტების საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებისას და, ასევე, პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკისა და კვლევითი ცენტრის ბიუჯეტების ფორმირებისას არ იყო გათვალისწინებული საჯარო სამსახურში ხელფასის 10%-ით ზრდა. **ფინანსთა სამინისტროს მიერ აღნიშნულ ორგანიზაციებთან შესაბამისი კოორდინაციით განისაზღვროს ხელფასის 10%-იანი მატება და მოხდეს შესაბამისი თანხის ბიუჯეტში ასახვა**	განხილული იქნება შესაბამის უწყებებთან და აისახება ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში.
5	საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ გაჟღერებულ იქნა **70 წლამდე პენსიონერთა სახელმწიფო პენსიის 35 ლარიანი მატების შესახებ.** მიზანშეწონილია, აღნიშნული გათვალისწინებული იქნეს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემდგომ ვერსიაში	გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მომზადების დროს.

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
6	2024 წელს სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ კანონში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის შესაბამისად, 2025 წლიდან ყოველწლიურად უნდა განხორციელდეს **კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მაქსიმალური ზღვრისა და ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა** და მისი ასახვა ბიუჯეტის კანონში. მიზანშეწონილია, **კანონპროექტის მე-8 თავში -„მარეგულირებელი ნორმები“, ასახული იქნეს აღნიშნული კომპენსაციების ოდენობები**	გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში.
7	კომიტეტი დადებითად აფასებს წყალმომარაგების პროგრამის დაფინანსების გაზრდას, ამასთან, ასევე, სასურველია **“საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების“ (კოდი 25 02) პროგრამის დაფინანსების ოდენობა შენარჩუნდეს მომავალში.** მიუხედავად რიკოთის უღელტეხილის დასრულებისა, რჩება სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი გზების მშენებლობა როგორიცაა, ბათუმი-სარფი, თბილისი-წითელი ხიდი, და ა.შ.	განხილული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მომზადების დროს, არსებული რესურსის ფარგლებში.
8	რეგიონებში სრულყოფილი ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალიტეტების გაძლიერების მიზნით მნიშვნელოვანი პროექტების განსახორციელებლად, კომიტეტს **მიზანშეწონილად მიაჩნია „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის“ ოდენობის გაზრდა**	განხილული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მომზადების დროს, არსებული რესურსების გათვალისწინებით.
9	მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაზიფიცირება და მოსახლეობისთვის გაზის მიწოდების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი თანხებით	საქართველოს რეგიონებში გაზიფიცირების ღონისძიებების განსახორციელებლად გათვალისწინებულია 50 მლნ ლარი, რომელიც საკმარისია გეგმით განსაზღვრული სამუშაოების დასაფინანსებლად.

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
10	ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მსჯელობა **თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებებისათვის 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების გაზრდის თაობაზე**	განხილული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მომზადების დროს, არსებული რესურსების გათვალისწინებით.
11	ვეტერანთა მატერიალურ-სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, გაიზარდოს გასაცემლის ოდენობა	განხილული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მომზადების დროს, არსებული რესურსების გათვალისწინებით.
12	**სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს** ვეტერანთა მატერიალურ-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილი აქვს ღონისძიებების გეგმა, რომლის დასაფინანსებლად, მათი შეფასებით, **საჭიროა დამატებით 10.3 მლნ ლარი.** გეგმა ეხება საკადრო პოლიტიკის გაუმჯობესებასა და შრომის ანაზღაურების ზრდას, სოციალურად შეჭირვებული ვეტერანების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხების მოგვარებას. მიზანშეწონილია, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან კონსულტაციები, რათა შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად მოხდეს აღნიშნული საკითხების გათვალისწინება	განხილული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მომზადების დროს, არსებული რესურსების გათვალისწინებით.
13	მნიშვნელოვანია გაგრძელდეს სოფლად არსებული ამბულატორიების რეაბილიტაცია - აღჭურვა და შესაბამისი რესურსი გათვალისწინებულ იქნეს 2025 წლის ბიუჯეტში	გათვალიწინებულია
14	პროგრამის „სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა“ (კოდი 27 02 03) 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული დაფინანსება წინა წელთან შედარებით გაზრდილია 12 მლნ ლარით. ამ პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე	განხილული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მომზადების დროს, არსებული რესურსების გათვალისწინებით.

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	პირთა, როგორც სოციალური, ასევე ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, უნდა **შენარჩუნდეს მზარდი დინამიკა დღის ცენტრების დაფინანსების გაზრდის თვალსაზრისით**	
15	პროგრამის „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი“ (კოდი 27 03 02 01) - უფრო ეფექტიანი მუშაობისთვის, საჭიროა მისი გაფართოება და მოდერნიზაცია, რათა მოხდეს დაავადების ადრეულ სტადიაზე გამოვლენა. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია სრულმასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის ჩატარება, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოცვის მაჩვენებელს. აქედან გამომდინარე, **სასურველია მოხდეს აღნიშნული პროგრამის დაფინანსების გაზრდა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სრულფასოვანი საინფორმაციო კამპანიის ჩატარება**	დამატებით განხილული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მომზადების დროს, არსებული რესურსების გათვალისწინებით.
16	პროგრამის „იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა“ (კოდი 27 03 03 06) გაფართოების მიმართულებით 2024 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, კერძოდ, აქონდროპლაზიით დაავადებული პაციენტების სამკურნალოდ სახელმწიფომ შეიძინა ძვირადღირებული მედიკამენტი - „ვოსოიტიდრი“. **იშვიათი დაავადებების ჩამონათვალი ყოველწლიურად იზრდება და აუცილებელია ამ მიმართულებით ბიუჯეტის მატება, რათა შესაძლებლობის ფარგლებში მოხდეს ასეთი დაავადებების თანამდეროვე მედიკამენტებით და მაღალტექნოლოგიური სერვისებით უზრუნველყოფა**	განხილული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მომზადების დროს, არსებული რესურსების გათვალისწინებით.
17	სკოლებში ბავშვთა უფასო კვების საკითხთან დაკავშირებით აღნიშნული იყო 2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე კომიტეტის	აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მომზადების დროს,

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	მიერ მომზადებულ დასკვნაში. **მიზანშეწონილია, საქართველოს მთავრობამ ბიუჯეტის პროექტის შემდგომი ვერსიის წარმოდგენისას გამოხატოს თავისი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით**	წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია პროგრამის დაწყების და განხორციელების ეტაპებთან დაკავშირებით.
18	რეგიონებში არსებული უმაღლესი სასწავლებლების სრულყოფილად ფუნქციონირებისა და სასწავლებლების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დაფინანსების ოდენობის დინამიკაში დაკვირვება და ანალიზი, მათ შორის შესრულების მონიტორინგი. ამ მიზნით, მიზანშეწონილია, ,,საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის მე-16 მუხლში გამოიყოს ცალკე კოდი, რომელშიც აისახება საქართველოს რეგიონებში მოქმედი უნივერსიტეტების სახელმწიფო დაფინანსების ოდენობა, მათ შორის ინფრასტრუქტურული ნაწილი;	ბიუჯეტში გათვალისწინებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება" პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ცალკე პროგრამული კოდის სახით ხორციელდება ქვეპროგრამა „უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება", რომლისთვისაც გათვალისწინებულია 15.0 მლნ ლარი. ამასთან, წარმოდგენილი წინადადება დამატებით განხილული იქნება შესაბამის სამინისტროსთან ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მომზადების დროს.
19	**მცენარეთა დაცვისა და ფაროსანასთან ბრძოლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით,** აუცილებელია ავტოპარკისა და შემასხურებელი აგრეგატების განახლება. არსებული ტექნიკის ამორტიზაცია და ექსპლუატაციის მზარდი ხარჯები მნიშვნელოვნად ამცირებს მის ეფექტურობას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომიტეტი **მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ დაფინანსების ზრდას**	განხილული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მომზადების დროს, არსებული რესურსების გათვალისწინებით.
20	ყურძნის საბაზრო ფასის და რისკის ზონებში ტარიფის გაზრდის შედეგად გაიზარდა სადაზღვევო პრემიებიც, რამაც აგროდაზღვევის პროგრამის ბიუჯეტის ზრდის საჭიროება გამოიწვია. შესაბამისად, **კომიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს აგროდაზღვევის პროგრამის ბიუჯეტის გაზრდას**	განხილული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მომზადების დროს, არსებული რესურსების გათვალისწინებით.

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
21	სპორტსმენების პარალიმპიურ თამაშებზე მიღწეული წარმატებებიდან გამომდინარე შშმ ახალგაზრდების მხრიდან გაზრდილია მოთხოვნა გახდნენ პარალიმპიური ოჯახის წევრები. **ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მნიშვნელოვანია მოხდეს ბიუჯეტიდან შესაბამისი სახსრების გამოყოფა**	განხილული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მომზადების დროს, არსებული რესურსების გათვალისწინებით.
22	„ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2025-2028 წლებისათვის“ დოკუმენტში ჯეროვნად არის ასახული დიასპორული პოლიტიკის მიმართულება. დოკუმენტიდან ჩანს, რომ განსაკუთრებულ ყურადღებასა და ხელშეწყობას საჭიროებს საზღვარგარეთ ქართული დიასპორა. **მნიშვნელოვანი იქნება, დიასპორასთან ურთიერთობის სისტემური მიდგომის დანერგვისა და დიასპორული ინიციატივების წახალისების მიზნით სხვადასხვა საგრანტო პროგრამისა და პროექტების გაგრძელება**	ბიუჯეტში გათვალისწინებულია არსებული პროგრამების/პროექტების გაგრძელებისთვის საჭირო თანხა.
23	ბიუჯეტის პროგრამული ფორმატის შემდგომი დახვეწისა და გაუმჯობესების მიმართულებით საჭიროა მხარჯავი დაწესებულებების მეტი ძალისხმევა. **მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ გააქტიუროს მუშაობა მხარჯავ დაწესებულებებთან პროგრამული ფორმატით ბიუჯეტის დაგეგმვის სრულყოფის მიმართულებით**	მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა პროგრამული ბიუჯეტის დახვეწის მიმართულებით. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ფარგლებში ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები პროგრამული ბიუჯეტის შემდგომი გაუმჯობესების მიმართულებით. მათ შორის, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა, რათა პროგრამული ბიუჯეტი პასუხობდეს თანამედროვე მსოფლიოში არსებულ გამოწვევებს და მასში აისახოს ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების კავშირები ისეთ გლობალურ მიმართულებებთან, როგორიცაა: გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDG), გენდერული თანასწორობა, კლიმატის ცვლილება, ადამიანური კაპიტალის მიზნები, ასევე სამთავრობო სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები და სხვა. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება ხელს

№	რეკომენდაცია	**რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა**
		შეუწყობს სტრატეგიული დაგეგმვასა და ბიუჯეტირებას შორის კავშირების გაძლიერებას.
24	**კომიტეტს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე მომზადებულ დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები და წინადადებები,** რაც დახვეწავს და კიდევ უფრო ეფექტიანსა და გამჭვირვალეს გახდის ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების პროცესებს. კომიტეტი გამოთქვამს მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში ჩაერთოს სამუშაო პროცესში და შესაბამისი საკითხების მოგვარებაში	გაგრძელდება კონსულტაციები სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციებთან და წინადადებებთან დაკავშირებით.